14 მაისს, სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ტრანსპორტის დაცვის სამმართველოს წინადადებითა და საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მითითებით, დააპატიმრეს ფოთის პორტის უფროსი კონსტანტინე რეკვაავა.

6 ივლისს კი საქართველოს ალკუ ცენტრალური კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანის, იმ დროისთვის შერისხული და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგედ ჩამოქვეითებული მამია ზოდელავას ჯერი დადგა.



კონსტანტინე გზიავა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის კონტრაბანდის სამმართველოს უფროსი

მართველოს უფროსი, „ცეკავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე, ხილ-მოსტენულის მეურნეობათა მინისტრი მოადგილე.

7 ივლისს ერთბაშად მოხვედრეს: ლილია ბარამია - მიხა ბარამიას და; მარლა მგარელა - ჩხორონწყუს რაიკომის ყოფილი მდივანი, იმუამად ქ. ცხაკაიას კირის ქარხნის დირექტორი; ანტიფო ჭაჭია - ვალის რაიკომის პირველი მდივანი.



ივლიანე (მამია) ზოდელავა საქართველოს ალკუ ცკ-ის პირველი მდივანი

მი მუშაობდა ზუგდიდის მტს-ს დირექტორად, სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსად, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსად.

1966 წელს დაინიშნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის დირექტორად, სადაც 1985 წლამდე, პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა. არჩეული იყო სამი მონვევის საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, იყო ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ორი მონოგრაფიისა და 23 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

1952 წლის ოქტომბრიდან 1953 წლის თებერვლამდე შინაგანი ციხე კიდე უფრო შეესო. მისი შინადასრული გახდნენ:

აკაკი პილასონია - აჭარის საოლქო კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე, რომელიც იმ მომენტში უკვე გაგდებული იყო და არსად არ მუშაობდა;


მ. პალანია - აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე (ისიც აღარსად მუშაობდა);

მ. შიში - ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;

მ. შაპსაშვილი - აფხაზეთის ასსრ ჯანდაცვის მინისტრი;

რაფიელ ჰირიკველია - საქ. კპ(მ) ცკ-ის ყოფილი მდივანი, დაპატიმრების დროს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორი. დააპატიმრეს მეგრული გვარის მქონე მეგრი სხვა პასუხისმგებელი მუშაკი.

(ბაბრქაძე იქნება)



ანტიფო ჭაჭია ვალის რაიკომის პირველი მდივანი

თითქოს დაიწყო საკუთარი
ჩირვეულობით წლებანდელი პარლამენტის
თქვე და დიდი აკაკი წერეთლის
ემოციურ სოფელ სხვიტორში
ჩასულაბს, იქაურობა ბლვრიალა
გზინი დღით შემოგვავაბა. გზონის
სახლ-მუგეუმის სტუმრობის მიგზინს
კი არაჩვეულებრივ თბილ ამინდს
შეასაბამებოლა: კოხნია, მწვანე
კონდრით ღაზარულ ეგოში,
უზარმაზარი კაკლის ქვეშ შეღა
ჩვენი სასიძალო მძინაბისა და
ქველმოქმედის, ბატონ ვახტანგ
ვეფხვაძის იღებითა და თანაღოშით
ბამოცემული წიგნის „აკაკი წერეთლის“
საგოგალოებისთვის წარღინაბა.



სხვიტორში აკაკი წერეთლის პოეტურ პარსკოვლავებს ღამით ხელითაც შეეხებით...


მიუხედავად იმისა, რომ აკაკი წერეთელს სიცოცხლე-
შივე გვერნი საყვედურობდა შემოქმედებით „სიზარმავეს“,
(შათ შორის დიდი ნიკო ნიკოლაძეც!) შთამომავლობას მან
მაინც ვრცელი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაუტო-
ვა, რომლის ჭეშმარიტი მარგალიტები სწორედ რომ ვახ-
ტანგ ვეფხვაძის ძალისხმევით და მის მიერვე შერჩეული
შესანიშნავი შემოქმედებითი ჯგუფის რუდუნებით (რედაქ-
ტორ-შემდგენელი ნანა ფრუიძე, დემიკო ლოლაძე, დი-
ზაინერი კახა ზახტაძე) ამ დღემდე აკადემიურ გამოცე-
მაშია შესული.

ვიდრე უშუალოდ წიგნის პრეზენტაციის ადგილიდან სა-
ხელდახლო რეპორტაჟს შემოგვავაზებდეთ, აუცილებლად
უნდა გითხრათ, რომ როგორც თავად ბატონ ვახტანგ ვეფხ-
ვაძის, ისე მთელი შემოქმედებითი ჯგუფის წევრთა მისამართით
მადლიერების სიტყვები, საგსებით დამსახურებულად, უკლებ-
ლივ ყველა გამოცემულმა გამოხატა!

– წლეულს აკაკი წერეთლის დაბადებიდან 185 წელი
სრულდება და ამ თარიღთან დაკავშირებით მრავალი ღო-
ნისძიება ტარდება, რომელთაგან ერთ-ერთის მონაწილე-
ნი დღეს მისი 190 წლის სახლ-მუგეუმის ეგოში ვართ შეკ-
რებილნი, – თქვა თავის შესავალ სიტყვაში ღონისძიების
ორგანიზატორმა და წამყვანმა, მუგეუმის საექსპოზიციო გან-
ყოფილების მთავარმა კურატორმა, ქალბატონმა **ლეილა
(ელისაბედ) ზაზახიძემ**. – იშვიათია ხალხთან ისე ახლოს
ყოფნა, მისი ჭირ-ვარამის გაზიარება, როგორც ეს აკაკის შე-
ფენი და ხალხის მას ასეთივე სიყვარულით პასუხობდა. კი-
ნოფირზე აღმეჭიდებოდა მისმა რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურო-
ბამ უდიდესი გამოხმაურება პოვა საზოგადოებაში. დიდად
სასიხარულოა ისიც, რომ აკაკიმ, ისევე, როგორც ილია ჭავ-
ჭავაძემ, თავისი დათესილი სიკეთის მომკა სიცოცხლეშივე
შეძლო.

– რაც უფრო დიდი შვილი ჰყავს ერს, მით უფრო დიდი
მოვალეობა ადევს ხალხს, რათა მის ხსოვნას საკადრისი პა-
ტივი მიავოს და დანატოვარ მემკვიდრეობას მოუაროს, – თქვა
წიგნის რედაქტორ-შემდგენელმა, პროფესორმა **ნანა ფრუ-
იძემ**. – ლიტერატურის ინსტიტუტი აგრძელებს აკაკი წერეთ-
ლის თხზულებათა ოცტომეული გამოცემას, რომელშიც შე-
ტანილი იქნება უკლებლივ ყველაფერი, რაც კი მას ოდეს-
მე დაუწერია. ეს თავისთავად დიდი საქმეა, მაგრამ ზოგა-
დად თუ ვიტყვით, ასეთი გამოცემები უფრო სპეციალისტე-
რის შედარებით ვინაო წრისთვისაა განკუთვნილი, ბატონ ვახ-
ტანგ ვეფხვაძის ძალისხმევით შექმნილი წიგნის მსგავსი გა-
მოცემები კი უფრო მკითხველთა ფართო ფენებზეა გათვლილი
და უდიდეს როლს ასრულებენ შედეგების პოპულარიზა-
ციაში. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მასში აკაკის უკ-
ვდავი ქმნილების გარდა, შეტანილია მისი შემოქმედების
მკვლევართა და ცნობილ მწერალთა და ლიტერატორთა შე-
ხედულებები მის მემკვიდრეობაზე, მდიდარ ფოტომასალასა
და სხვას, ბატონ ვახტანგ ვეფხვაძის წვლილი ამ დიდ საე-
რო საქმეში, ჭეშმარიტად ფასდაუდებელია, – დასძინა ნანა
ფრუიძემ.

– ვიდრე ერს აკაკისა და ილიასწორი შვილები ჰყავს, მას
გადამენება არ უწერია, – ეს შესანიშნავი სიტყვები ცნობილ
ისტორიკოსსა და მეცნიერს, მწერალსა და პუბლიცისტს, აკა-
დემიკოს **ელდარ ნადირაძეს** ეკუთვნის, რომელიც რამდე-
ნიმე დღის წინათ დავით აღმაშენებლის ორდენით დაჯილ-



დოვებს, რასაც, სხვებთან ერთად, გაზეთ „საქართველოს რეს-
პუბლიკის“ რედაქციის სახელით გულწრფელად ვულოცავთ.

ცნობილმა მწერალმა და ლიტერატურათმცოდნემ, და-
ვით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურე-
ატმა, **ზაალ ბოტკოველმა**, შესანიშნავი შემოქმედის ჭეშალ
ქარხნის სიტყვები გაიხსენა: – **საქართველოს მწერლო-
ბას შვიდი მანათობელი ვარსკვლავი ჰყავს, რომელთა-
გან ოთხი მე-19 საუკუნეში მოღვაწეობდა და ერთი მათგანი
აკაკიაო**, – წიგნი, რომლის პრეზენტაციის მონაწილეიც ვართ,
იმის ნათელი მაგალითია, თუ როგორ უნდა უყვარდეს კაცს
თავისი ქართველობა, მშობლიური პოეზია. ბატონმა ვახტანგ
ვეფხვაძემ ჩინებულად იცის ქართული მწერლობის ფასი და
ძალისხმევას არ იშურებს მის წარმოსაჩენად, რისთვისაც მას
კიდევ ერთხელ მიიდა მოგახსენო დიდი მადლობა. შეგახ-
სენებთ, რომ მისი თაოსნობით აკაკი წერეთლის კრებულის
გარდა, კიდევ სამი წიგნი გამოიცა: „გიორგი (გოგლა) ლე-
ონიძე“, „გალაკტიონ ტაბიძე“, „ირაკლი ამამიძე“ და იმედი
მაქვს, რომ კიდევ უფრო მეტი გამოიცემა, – თქვა ზაალ ბოტ-
კოველმა.

– ვიდრე ეს წიგნი ხელში გიჭირავს, მუდამ საქართველოში
ხარ, თანაც ის დიდად გაახლოვებს მწერალთან, რასაც ხელს
უწყობს კრებულში შეტანილი პატარ-პატარა ჩანართები, რომ-
ლებშიც აკაკის ყოველდღიური ყოფისა და პიროვნების და-
მახასიათებელი თვისებებია აღმეჭიდოლი, – თქვა პოეტმა, აკაკი
წერეთლისა და ტიციან ტაბიძის პრემიების ლაურეატმა, პრო-
ფესორმა **ქეთევან შენგელაძემ**.

– „მწერლობა და პოეზია მოციქულთა სწორი მოღვაწე-
ობა“ – წმ. სერაფიმ საროველის ეს სიტყვები გაიხსენა ილია
ჭავჭავაძისა და ვალაკტიონ ტაბიძის პრემიების ლაურეატ-
მა, პოეტმა **ჯუბა დებელმა** და დასძინა, რომ აკაკის შემოქ-
მედება ამის ნათელი დასტურია, შემდეგ კი საკუთარი დექსი
წააკითხა.

ქართველ მთამსვლელთა ალიობა, სიმონ და ალექსან-
დრა ჯაფარიძეების სახელოვანი გვარის ღირსეულმა მთა-
მომავალმა, უურნალისტმა და მკვლევარმა, პროფესორმა
ვანო ჯაფარიძემ დამსწრეთ უამბო მისი და აკაკი წერეთლის
ოჯახების ოდითგან მომავალი ურთიერთობებისა და გული-
თადი მეგობრობის შესახებ.

ცნობილმა დიპლომატმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ
მალხაზ კაკაბაძემ მადლობა გადაუხადა ბატონ ვახტანგ ვეფხ-
ვაძეს შესანიშნავი ქველმოქმედებისთვის, ასევე განსაკუთ-
რებული პატივი გამოხატა აკაკის სახლ-მუგეუმის თანამშრომ-
ლებს მიმართ, მისი საცხოვრისის და კარ-მიდამოს ესოდენ
საგულდაგულოდ მოვლა-პატრონობისთვის.

– დმერთმა ისე არ გააღარიბოს საქართველო, რომ თავი-
სი დიდი შვილების სახელსა და დანატოვარს არ მოუაროს, აღ-
ნიშნა ცნობილმა პოეტმა, სახელწიფო პრემიის ლაურეატმა **ვანო
ჩხიკვაძემ**, რომელმაც საკუთარი ლექსი „გაუმარჯოს“ წაიკითხა.

ასევე საკუთარი ლექსი წაიკითხა ლადო ასათიანის პრემიის
პირველმა ლაურეატმა, ახალგაზრდა პოეტმა **ოთარ ფაღო-
ანმა**, რომელმაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, თუ რაოდენ
დიდი მნიშვნელობა აქვს ბატონ ვახტანგ ვეფხვაძისწინაირ მა-
მულიშვილთა კეთილშობილურ წამოწყებებს ერის აწმყოსა
და მომავლისთვის.

დამსწრეთ სიტყვით მიმართეს და გულწრფელად მოე-
სიყვარულენ მასპინძლები – საჩხერის მუნიციპალური კულ-
ტურის სამსახურის ხელმძღვანელი **მურამ თურმანიძე** და აკაკი
წერეთლის სახელმწიფო მუგეუმის დირექტორი **ცხენარ ლაში**,
რომელმაც აკაკის მამის, როსტომის სიტყვები გაიხსენა:

– მე რომ ამ სახლის შენება დაიწყო, დამცინოდნენ – ამის
აშენებას ვერ მოესწრებოდა და მეც წესად შემოიღეს იმერ-
ლეშმა ასეთი სახლების შენებაო, – აგვისტოში თუკი ჩამობ-
რძანდებით სხვიტორში და დაღამებას ამ დიდებულ ადგი-
ლას შეხვდებით, ისეთი შეგრძნება დაგვეფლავებთ, თითქოს
თითის წვერებზე დამდგარნი ცაზე ვარსკვლავებს ხელით მი-
წვდებით, მიწვედებით და მოეფერებით!..

თავის გამოსვლაში ბატონმა ვახტანგ ვეფხვაძემ გაიხსე-
ნა ბავშვობის ის მდინერი ხანა, როცა ზაფხულს დედუღეთში,
სხვიტორის მეზობლად სოფელ ჭალაში ატარებდა, მადლობა
გადაუხადა საჩხერის ადგილობრივი თვითმმართველობის
ხელმძღვანელობასა და აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუ-
გეუმის თანამშრომლებს გულთბილი დახვედრისთვის.

ოთარ ტურაბალიძე,
სხვიტორი-თბილისი

P.S. დაგოლოს, გვინდა აღვნიშნოთ,
რომ საზეიმო ღონისძიებასთან და-
კავშირებით, საჩხერის მუნიციპალი-
ტეტმა, სოციალურ ქსელში საგანგებო განცხადე-
ბა გაავრცელა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:
„...ამ დროისთვის წიგნის 800 ვეგემპლარი არ-
სემოზს და არცერთი მათგანი არ იყიდება. ვახტანგ
ვეფხვაძის ინიციატივით, წიგნი მიმლითოვევსა და
სხვა შესაბამის დაწესებულებებს დაურიგდებათ“.

მ. ტ.



ქართული ხმლით მოფარაიკავე სანდრო ბაზაძემ მადრიდში სენიორებს შორის გამართული მსოფლიო თასის, Villa de Madrid-ის ჩემპიონია - ქართველმა ფინალში თურქი ენვერ ილდირიმი 15:8 დაამარცხა.

დარჩა რაზე?

ბაზაძე შეჯიბრებაში T64-დან ჩაერთო. იტალიელ, რუმინელ და ჩინელ მეტოქეებს სძლია და სამი მოგებული ბრძოლის შემდეგ მეოთხედფინალში გავიდა, სადაც რეიტინგის მეორე ნომერი, ფრანგი პატრის სებასტიანი 15:9 დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალში კორეელ სპორტსმენს 15:13 აჯობა.

ჩემპიონობა, თასი

ხშირა კვარაცხელიას ამ დღეებში არ უთამაშია, მაგრამ ერთხელ 2 ტიტულით მაინც გაიმდიდრა კარიერა. იტალიის სერია „ა“. ბოლო ტური. ნაპოლი - კალიარო 2:0. 24 წლის ქართველმა ვარსკვლავმა მეორედ მოიპოვა სკუდეტო, მაგრამ კალჩოს უცნაური დებულების გამო თქვამს ვერაღადავებელი ვერ მიიღებს. დიას, ჯილდო მხოლოდ მას ერგება, ვინც ტურნირის განაცხადში იმ მომენტშია შეყვანული, ანუ კვარაცხელიას პირველი წლის 17 მატჩი და 5 გატანილი გოლი არაფერს ნიშნავს და მის ნაცვლად შეძენილი ოკაფორი, რომელიც სარმიელზე სულ რამდენჯერმე გამოჩნდა და ისიც სათადარიგოთა სკამიდან, მკერდს უმაღლესი სინჯის ნობათით დაიმშვენებს. მოკლედ, ვირო მადლით, ისეა იტალიელ ფუნქციონერთა საქმე.

საფრანგეთის თასი. ფინალი პარი სენ-ჟერმენი - რეიმსი 3:0. ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე გამართული გენერალური რეპეტიციის წინ რამდენიმე ნუთით ადრე ხეივანე გულისრევის შეგრძნებისა და თავის ტკივილის გამო სახლში გაუშვეს, მაგრამ ლუის ენრიკემ ყველა დაამშვიდა - ასეთი რამ ჩვეულებრივი ამბავია და კვარა სამშაბათს ვარჯიშს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

იმავდ დღეს ზედიზედ მეორედ მოიხვეჭა ავსტრიის მუნდეს-ლიგის ჩემპიონობა **ოთარ კიტეშვილმა** მას შემდეგ, რაც გრაცის შტურმი მინ თასის მფლობელი ვოლფსბერგერს დაუხვდა - 1:1, სადაც **სანდრო ალთუნაშვილი** კი ირიცხება, მაგრამ მცირე სათამაშო დროის გამო ამ გუნდის დატოვებას აპირებს.

აქვე კიდევ ერთი სასიხარულო ინფორმაცია უნდა გავაცნოთ: მაქოში მიმდინარე მინი-ფეხბურთულთა მსოფლიოს ჩემპიონატზე საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ჯგუფური რაუნდის მეორე მატჩიც მოიგო, ამჯერად - მრისხანე არგენტინასთან - 6:1(!) და პლეი-ოფის საგზურს ვადამდე დაუფლდა.

მზიურის გაღმართ

საბა ფუნცელაძემ თბილისის ჩელენჯერის გამარჯვებულია. მზიურის კორტებზე გამართული ATP ტურნირის ფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა იტალიელ ფედერიკო ჩინას ორ სეტში 7:6, 6:4 აჯობა.

პირველი სეტი განსაკუთრებით დაძაბული გამოდგა, რომელიც საბამ ტაი ბრევიკზე 7:5 მოიგო, მეორე სეტში კი პირველივე ჩემპიონშიფ პოინტი წარმატებით გამოიყენა და შესვენდრა საათსა და 35 წუთში დასრულდა.

ორივე ჩოგბურთელს 7-7 ეისი ჰქონდა. რაც შეეხება ორმაგ შეცდომებს, ქართველმა 3-ჯერ, ხოლო იტალიელმა 4-ჯერ დაუშვა. საბა ამ გამარჯვებით მსოფლიო რეიტინგშიც დანინაურდება, მისი მთავარი მიზანი კი უიმპლდონის შესარჩევ ეტაპზე მოხვედრაა. ფურცელაძე ბოლო დროს მესანიშნავ კონდიციებშია, ტრავმის შემდეგ რამდენიმე ტურნირის მოგებას მოახერხა და რეიტინგში დიდი პროგრესი განიცადა. მან ბოლო ერთ კვირაში

როგორც ინდივიდუალურ, ასევე წყვილთა თანრიგშიც იასპარეზა და ნახევარფინალშიც გავიდა. საბა რამდენიმე დღეში მოლოდინში გაემგზავრება, სადაც ასევე ჩელენჯერი ჩატარდება და ძალებს იქაც მოსინჯავს.



ელაღის კრახი

ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის სატიტულო ბრძოლა რომელიმე ბერძნული გრანდის გარეშე ჩაივლიდა, მაგრამ საბოლოოდ სწორედ ასე მოხდა და ელაღურ დერბიში მხოლოდ მესამე ადგილის მფლობელი გამოვლინდა.

პირველი არაბული მინი-ტურნირი ან უკვე ყოფილი ტრიუმფატორის პანათინაიკოსისა და შარუნას იასკეკავიჩიუსის განვრთნილი ფენერბახჩეს მატჩით გაიხსნა. ამპიციურ ლიგეტუვლ სპეციალისტს აქამდე ვადაწყვეტი რაუნდი ორჯერ ჰქონდა წაგებული და ნავის ვასატებად ისეთი ანსაზმლი შეკრა, მთების ვადადგმა რომ შეუძლია.

პილმა, მიმტოვიჩმა, სმიტმა, გულერჩმა და კამპანამ თავიდანვე დაზომეს მრისხანე მეტოქის კალათი სამქულიანებით, მათი ლიდერი ნანი კი, მართალია, საბოლოოდ 19-ქულიან პირად მონაგრამდე ავიდა, მაგრამ საკვანძო მომენტში სამედიისწერო - მეხუთე პერსონალური შენიშვნა მიიღო და პარტიორები ნოღეების დათმობისკენ განირა - 76:82.

მიუხედავად ყველაფრისა, სირტაკის სამშობლომ მონაკოს თავკაცის ვასილის სანულისის სახით მაინც შეუტია ევროპულ საკლუბო მწვერვალს, რაშიც ქართველი ასისტენტი მანუჩარ მარკოშვილი დაეხმარა. ეს რეკორდული სეზონის გამარჯვებულისა და უმთავრეს ფავორიტად მიჩნეული ოლიმპიაკოსის ყოჩების - ფურნიეს და ვებენკოვის გათიშვით და ჯეიმსის ძალისხმევით მოხერხდა - 78:68.



საკვალაფიკაციით ეტაპის ფინალში ქართველმა ჩოგბურთელმა ფრანგი ჯოფრი ბლენკანო ორ სეტში 6:2, 6:4 დაამარცხა და მიმდინარე წელს მეორე დიდი სლეგის ტურნირის ძირითადი ეტაპის საგზური მოიპოვა. მანამდე ბასილაშვილმა ავსტრიის დია პირველობაზე ითამაშა.

ბლენკანომდე როლან გაროსის კორტებზე ქართველმა ჩოგბურთელმა პოლონელ ვაჩეროსა და ნიდერლანდელ ბროუვერს მოუგო. ამ მომენტისთვის ნიკოლოზ ბასილაშვილი პროფესიონალ მამაკაც ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგში 132-ე ადგილზეა.

ქნელია ანუბაშო...

მათლაც რომ მუხანათი რამაა ნუთისოფელი.

უმცროსი აშთანდილ კოპა-ნასთმის 1 ოქტომბერს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე უნდა მიგველოცა, მაგრამ, სამწუხაროდ, საფრანგეთში არამათაგან უღვთოდ გამეტებულს ამიერიდან მხოლოდ წარსულ დროში მოვიხსენიებთ...



დელაქალაქის 22-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა უმაღლესი განათლება თსუს ეკონომიკურ ფაკულტეტზე მიიღო, თუმცა პროფესიით არსად უშუაშავია და მამის - ფიფას არბიტრის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, დინსების ორდენის კავალრის, უფროსი აშთანდილ კოპაშის კვალს გაჰყვა, რომელსაც ეროვნული ნაკრების ისტორიული - ლიგვასთან ფიფას ვედიტთ გამართული პირველი მატჩის მსაჯთა ბრიგადის წევრობის პატივი ხედა წილაღ.

აღსანიშნავია, რომ სამავალითო მშობლისგან განსხვავებით, მსაჯობის პარალელურად ზავშვთა სპეციალიზმებულ საფეხბურთო სკოლა „მედიში“ მომავალ თაობასაც ზრდიდა.

დასანანია, რომ ასე მუხანათურად შეწყდა ახალგაზრდა სიცოცხლე. დირსეული ოჯახის დირსეულ შვილს დავიწყება არ უნერია.

„სრ“ სპორტის რედაქცია



ყველა დროის ევროპის საუკეთესო კლუბების ათეული ახა გამოიყურება: 1. მადრიდის „რეალი“ (15-ჯგონს გამარჯვებული), 2. „ბილანი“ (7), 3-4. „ლივერპული“ და „ბაიერნი“ (6-6-ჯგონ), 5. „ბარსელონი“ (5), 6. „აიპსი“ (4), 7-8. „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „მილანის“ „ინტერნი“ (3-3-ჯგონ). ათეულს აშორებენ გუნდები, რომლებიც ორ-ორჯერ ფლოგდნენ თასს. ტურინის „იუვენტუსი“, „ჩელსი“, „რომინგა ფორაში“, „ბენფიკა“ და „სპორტუ“.

შეიძლება ითქვას, რომ უნიკალური შედეგი დაფიქსირდა ამ ტურნირის დასაწყისში, როდესაც მადრიდის „რეალიმ“ ზედიზედ ხუთჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი (1956, 1957, 1958, 1959, 1960). ამ წარმატების მთავარი სულისჩამდგმელები იყვნენ ალფრედო დი სტეფანო, ფერენც პუშკაში, რამონ კოპა, ფრანსისკო ჰენტო, ხოსე სანტამარია და არგენტინელი თავდამსხმელი რეალი. ძნელი საფიქრებელია, რომ ვინმემ შეძლოს ამ უნი-

ლიდერობენ ესპანელები

კალური შედეგის გამოვრება, გაუმჯობესებაზე არცაა ლაპარაკი. მასთან მიახლოება ბევრმა სცადა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. 70-იანი წლების დასაწყისში ეს ტურნირი ზედიზედ სამჯერ (1971, 1972 და 1973) მოიგო ამსტერდამის „აიაქსმა“, რომლის ლიდერები იყვნენ იოჰან კრუიფი, იოჰან ნეესკენსი, რუდი კროლი, ჯონი რეპი, ხოლო შემდეგ ზედიზედ სამჯერ (1974, 1975 და 1976 წლებში) ეს საპატიო თასი მოიგო მიუნხენის „ბაიერნი“, რომლის რიგებში ბრწყინავდნენ: ფრანც ბეკენბაუერი, გერდ მიულერი, პაულ ბრაიტენერი, ზემ მიიერი, ული შიონესი, გორგ შვარცენბეკი, კარლ-ჰაინც რუმენიგე. XXI საუკუნეში ეს შედეგი გაიმორა მადრიდის „რეალიმ“, ის ზედიზედ სამჯერ გახდა ჩემპიონთა თასის გამარჯვებული. ამ წარმატებათა მთავარი სულისჩამდგმელი იყო კრიშტიანო რონალდუ, ხოლო გუნდის მწვრთნელი იყო ზინედინ ზიდანია (2016, 2017, 2018).

ახლა მოკლედ შევჩერდებით ინდივიდუალურ რეკორდებზე, რომელიც საინტერესოა და რომლის გამეორება ან გაუმჯობესება ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ფინალური მატჩების საუკეთესო მომხარაირია ლევენდარული უნგრელი ფეხბურთელი, მადრიდის „რეალის“ ვარსკვლავი ფერენც პუშკაში. ფინალურ მატჩებში მან შეძლო 8 გოლი გაეტანა. ეს ერთი რეკორდია. მის სახელთან ასოცირდება კიდევ ერთი უნიკალური მიღწევა. მან ამ ტურნირის ისტორიაში პირველად შეასრულა პოკერი, - ოთხი გოლი გაიტანა, ხოლო შემდეგ შეასრულა ჰეთ-თრიფი - სამი გოლი შეავდო. პირველად ეს მოხდა გლაზგოში 1960 წლის 18 მაისს ფრანკფურტის „აინტრახტთან“ დაუვიწყარ ფინალურ მატჩში, რომელიც 7:3

დასრულდა „რეალის“ სასარგებლოდ. მეორეს ადგილი ჰქონდა 1962 წლის 2 მაისს ამსტერდამში, როდესაც მან სამი გოლი გაიტანა, მაგრამ „რეალიმ“ დათმო ეს ფინალი - 5:3 გაიმარჯვა „მენფიკამ“ და ზედიზედ მეორედ დაუფლა თასს. 1960 წლის ფინალურ მატჩში ჰეთ-თრიფი შეასრულა ალფრედო დი სტეფანომ. მან სამი გოლი გაიტანა. ის ამ ტურნირის ისტორიაში მეორე საუკეთესო მომხარაირია. მის ანგარიშზე ფინალში გატანილი 7 გოლია. მის სახელთან ასოცირდება კიდევ ერთი მიღწევა. მან ზედიზედ ხუთ ფინალურ მატჩში შეძლო გოლის გაიტანა. ის შვიდჯერ იყო ვადაწყვეტი მატჩის მონაწილე.

პირველი ჰეთ-თრიფი კი ამ პრესტიჟული ტურნირის ისტორიაში შეასრულა არგენტინელმა ცენტრფორვარდმა რეალიმ. ეს მოხდა პირველსავე ფინალურ მატჩში 1956 წლის 13 ივნისს პარიზში. დაძაბულ შეხვედრაში მადრიდელმა გაიმარჯვეს 4:3 და პირველად გახდნენ ჩემპიონთა თასის მფლობელები. ერთი გოლი ალფრედო დი სტეფანოს ანგარიშზეა.

„რეალიმ“ 17-ჯერ ითამაშა ამ ავტორიტეტული ტურნირის ფინალში და 15-ჯერ გაიმარჯვა. ეს კიდევ ერთი უნიკალური მიღწევაა.

კიდევ ერთი უნიკალური შედეგი ასოცირდება მადრიდის „რეალიმ“, რომლის გამეორება ან კიდევ გაუმჯობესება თითქმის წარუდგენელია. ის ეკუთვნის მადრიდის „რეალის“ მარცხენა გარემარბს ფრანსისკო ჰენტოს. მან რვა ფინალურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ექვსჯერ გაიმარჯვა. ის ყველაზე მეტჯერ ფლოგდა ამ საპატიო თასს. ეს კიდევ ერთი რეკორდია, რომლის გამეორება ადვილი არ იქნება. მეორე ადგილზეა სახელ-

განთქმული ალფრედო დი სტეფანო. მან შვიდ ფინალში მიიღო მონაწილეობა და 7 გოლი გაიტანა. მან ეს გააკეთა ზედიზედ ხუთ ფინალურ მატჩში. ესეც გამორჩეული შედეგია. ასპროცენტინი შედეგი აქვს პორტუგალიელ კრიშტიანო რონალდუს. მან 5 ჯერ ითამაშა ფინალში და 7 გოლი გაიტანა. 2017 წელს „იუვენტუსთან“ ფინალურ მატჩში მან სამი გოლი გაიტანა და „რეალიმ“ გაიმარჯვა დიდი ანგარიშით 4:1, მაგრამ არის ერთი ნიუანსი. მან ეს გააკეთა არა ზედიზედ ხუთ ფინალში, არამედ სხვადასხვა დროს და ორ გუნდში: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (2009) და მადრიდის „რეალიში“ (2014, 2016, 2017, 2018). ზედიზედ ხუთჯერ ამ თასს ფლოგდა მადრიდის „რეალის“ ნახევარმცველი ზარაგა.


მწვრთნელთაგან ყველაზე უფრო მეტჯერ ეს პრესტიჟული თასი მოგებული აქვს იტალიელ კარლო ანჩელოტის. მან ეს ხუთჯერ გააკეთა - ორჯერ „მილანში“ (2003, 2007) და სამჯერ „რეალიში“ (2014, 2022, 2024). ზედიზედ სამჯერ მოიგო ეს პრესტიჟული ტურნირი მადრიდის „რეალის“ მწვრთნელის რანგში ზინედინ ზიდანია. ეს მოხდა 2016, 2017 და 2018 წლებში.

და ბოლოს - კიდევ ერთი რამონ-ლის მუხანაზ, რომლის დახმობა უახლოეს ხანებში წარმოუდგენელია. 1960 წლის 18 მაისს გლაზგოში სახელგანთქმულ „ჰემპდენ პარკში“ ფინალურ მატჩს მადრიდის „რეალს“ და ფრანკფურტის „აინტრახტს“ შორის გაყურებულთა სარეკორდო რაოდენობა დაეწინა. მას თვალს ადრეგდა 134 000 მაყურებელი.

მერაბ კალანდიაძე

როელი მხარეების მოსავალი გადაპარჩენს ბირთვული კატასტროფის ქაოსს?

თუ კაცობრიობას გლობალური კატასტროფა დაატყდება თავს, მავალითად ბირთვული ზამთარი, მილიონობით ადამიანი შიშველი პაროლდების წინაშე აღმოჩნდება



მეცნიერებმა დაადგინეს, როგორ მოსავალზე უნდა დაგეგმონ იმდროინდელი, რათა მოსახლეობის გამოკვება საშუალო ზომის ქალაქში 30 იყო შესაძლებელი.

ახალი კვლევის მიხედვით, ბირთვული კატასტროფის ან სხვა მსგავსი გლობალური კრიზისის შემდეგ ურბანულ და მასთან ახლოს მდებარე ტერიტორიებზე ხალხის გამოსაკვებად რამდენიმე მცენარის მოყვანა ხელსაყრელია. ესენია: ისპანახი, შაქრის ჭარხალი, ხორბალი და სტაფილო.

PLOS One-ში გამოქვეყნებულ ნაშრომში საშუალო ზომის ქალაქის მავალითად განხილული – ახალ ზედიზედ მდებარე პალმერსტონ-ნორთის. ის მცენიერებმა იმით შეარჩიეს, რომ გეოგრაფიულად მსოფლიოს უამრავ სხვა ქალაქს ჰგავს: შიდა ტერიტორიაზე, დაბ-

ლი სიმჭიდროვისა და ე.წ. სუბურბანული ტიპის სახლებს მოიცავს.

მკვლევრებმა Google-ის სატელიტური სურათების გამოყენებით ქალაქში არსებული მწვანე სივრცეები გააანალიზეს (ებოები, პარკები) და გამოთვალეს, რამდენი ადამიანისთვის იქნებოდა საკმარისი იქ მოყვანილი მოსავალი. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ ქალაქის ტერიტორიაზე მოყვანილი მოსავალი ნორმალურ პირობებში იქაური მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს დააპურებს, ბირთვული ზამთრის შემთხვევაში კი – 16%-ს.

შესაბამისად, გადარჩენისთვის ქალაქგარეთ მდებარე მიწების გამოყენება გახდება აუცილებელი. პალმერსტონ-ნორთისთვის ეს საკვები კულტურისთვის დამატებით დაახლოებით 1140 ჰექტარს მოიზარებს, ხოლო 110 ჰექტარი მი-

ლიზების წარმოებისთვის იქნება საჭირო, რათა ტექნიკამ იმუშაოს.

ნორმალურ კლიმატში მოსაყვანად საუკეთესო ზარდა აღმოჩნდა. ის პროტეინის მაღალი შემცველობით გამოირჩევა და ქალაქის პირობებში კარგად ხარობს. მისი მოყვანით ერთი ადამიანის წლიური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მიწის დაახლოებით 292 კვადრატული მეტრი ფართობია საჭირო. ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, კომპოსტისა და სტაფილოს შემთხვევაში (777 კვ.მ).

ამის მიუხედავად, ზარდა ყინვას ვერ უძლებს. შესაბამისად, თუ ბირთვული ზამთარი დადგება, უფრო გამძლე კულტურები იქნება საჭირო. ასეთ პირობებში მცენიერებმა საუკეთესო არჩევანად ისპანახი და შაქრის ჭარხალი მიიჩნიეს. ქალაქგარეთ მოსაყვანად საუკეთესო ნორმალურ კლიმატში კარტოფილი აღმოჩნდა, ბირთვული ზამთრისას კი – 97% ხორბლისა და 3% სტაფილოს კომბინაცია. ეს მცენარეები დაბალ ტემპერატურასა და მზის სხივების ნაკლებობას უკეთ იტანს.

ვინაიდან ქალაქების დიდი ნაწილი მდინარეებთან ახლოს გაშენდა, ნაყოფიერ ნიადაგზე, ადგილობრივი საკვების წარმოების ფართი პოტენციური დღესაც ბევრ მათგანს აქვს. კვლევის ავტორები აღიარებენ, რომ რეალურ სამყაროში მაინც მრავალი გაურკვეველი ფაქტორია: ნიადაგის ხარისხი, წყლის ხელმისაწვდომობა და სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები. ასეა თუ ისე, უკანასკნელი კვლევა შეიძლება საინტერესო იყოს იმ ქალაქებისთვის, რომლებშიც ურბანული მეურნეობის განვითარებას სერიოზულად განიხილავენ.

მეცნიერებმა „ხეების ენას“ მიაგნეს

ავსტრალიის უნივერსიტეტისა და იტალიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გვლვრებმა პირველად დააფიქსირეს ბირთვული სიგნალები, რომლებსაც არყის ხეები მზის დაგნელებისთვის მოსაგზავლად იყენებენ. საქმე იმაშია, რომ ამ სიგნალებს პირველად უპოვეს ხეები აზგავნიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ ეპოლოგიურ მოვლენებზე გარკვეული ინფორმაცია უკვე დამახსოვრებული აქვთ.

„ეს კვლევა არის სინქრონიზებული რეაქციის ლუსტრაცია, რომელსაც ჩვენ ვაკვირდებით. ეს არის გასაღები იმისა, თუ როგორ ურთიერთობენ და ადაპტირდებიან ტყეები ერთმანეთთან. ამას მცენარეების ქცევაში ახალ უფრო რთულ დონეზე აყვავარს“, – განაცხადა პროფესორმა მონიკა ბალიანომ.

მისი თქმით, ეს მოქმედებაში მოყვანილი ხეების ერთგვარი ქსელია. აქამდე მცენარეებს შორის კომუნიკაციის დაჭერა მცენიერებს არ შეეძლოთ, თუმცა ყველა ცოცხალ ორგანიზმს აქვს ბიოელექტრული სიგნალები. იმის გათვალისწინებით, რომ ნებისმიერ ორგანიზმში – დანყებული ვირუსებიდან დამთავრებული მტაცებლებით – ჩადებულია თვითგადარჩენის ინსტიქტი, ეს სიგნალები მათ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აფრთხილებს.

კვლევის ჩასატარებლად მცენიერებმა სპეციალური სენსორული ტექნიკა გამოიყენეს, რომლებმაც ამ სიგ-



ნალების დაჭერა შეძლეს. მცენიერებმა ველის კვანტური თეორია დაიხმარეს და აღმოაჩინეს, რომ ამ სიგნალების აქტივობა მზის დაბნელებამდე რამდენიმე საათით ადრე მკვეთრად გაიზარდა. სიგნალები კი ყველაზე ძველი ხეებიდან წამოვიდა.

მცენიერების თქმით, მათ ერთგვარ „ხეების ენას“ მიაგნეს, თუმცა კვლევა ჯერ ნოვატორულია და მუშაობა ამ მიმართულებით გრძელდება, რათა ადამიანებმა უკეთ გაიგონ, როგორ ადაპტირდება ეკოსისტემა კლიმატის ცვლილებებთან.

„ის ფაქტი, რომ ძველი ხეები პირველები რეაგირებენ მათ განსაკუთრებულ როლზე მიუთითებს. ისინი ერთგვარ მესიერების მანკის როლში გამოდიან, რომლებსაც წარსულში მომხდარი ეკოლოგიური მოვლენები ახსოვთ. ეს კვლევა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად კრიტიკულად მნიშვნელოვანია ძველი ტყეების დაცვა, რომლებიც ეკოსისტემის სიმყარის გარანტია. ისინი ინახავენ და გადასცემენ ფასდაუდებელ ეკოლოგიურ ცოდნას“, – აღნიშნა ბალიანომ.

ცნობისთვის, ეს კვლევა ახალ დოკუმენტურ ფილმში „მყის კოლაჟი“ მოხვდება, რომელიც აბა წლის მაისში გამოვა.

სანთელი

გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“ და „საშავალ-დასავალი“, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია სამიძიარს უცხადებენ დენის დაფითაშვილს შვილის

მიხეილ (მიუკა) დავითაშვილის

გარდაცვალების გამო



13 წლის მოზარდის მიმართ გარყვნილი ქმედების ბრალდებით 22 წლის ბიჭი დააკავეს



„წრამიტიამს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით დაიწყო, რაც სრულწლოვნის მიერ წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიმართ ძალადობის გარეშე განხორციელებულ გარყვნილ ქმედებას გულისხმობს.

ამოღებულია. ისევ და ისევ. დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოსა და დეტექტივების (ოპერატიული) მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ცნობით, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და რეალიზაციის ბრალდებით დაკავებულია 1987 წელს დაბადებული გ.მ.

„დანაშაული 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა მოსამართლის განჩინების საფუძველზე არაერთი ფართი საგამოძიებო მოქმედება ჩატარეს, რითაც დადგინდა, რომ ბრალდებული ნარკოტიკულ საშუალებებში ყოფილა. პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე, რამდენჯერმე განხორციელა სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებების საკონტროლო შესყიდვა და აღნიშნული შესყიდვების ფართული აუდიო-ვიდეოჩანწერა.

სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებული გ.მ.-ს პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას დიდი ოდენობით სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალებები, მათ შორის: „კოკაინი“, „ალფა-პეპი“ და „კლფედრონი“ ამოიღეს. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, პოლიციის მიერ ნივთმტკიცებად, ასევე, ამოღებულია ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო მასალები, ელექტროსასწორი და სავარაუდოდ ნარკოტიკების რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხა.

ვაკეში მოკლული ბიზნესმენის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს

ვაკეში მოკლული ბიზნესმენის ლევან პანგველაძის საქმეზე კიდევ ერთი პირი დააკავეს, – ინფორმაციას ამის შესახებ მოკლული კაცის ოჯახის ინტერესების დამცველი ტარიელ კაკაბაძე ავრცელებს.

„ლევან პანგველაძის მკვლელობის საქმეზე სულ ახლახან დააკავეს ს. ნივნივაძე. დადასტურდა, რომ ს. ნივნივაძე ფლობდა წარსულში იმ იარაღს, რომლითაც მოკლეს ლევან პანგველაძე, ანუ დადასტურდა ის, რაზეც აქამდე ვსაუბრობდით! ახლა გამოსაძიებელია, თუ ვის მფლობელობაში გადავიდა ს. ნივნივაძის იარაღი და როგორ აღმოჩნდა ის მკვლელის ხელში!“, – წერს ადვოკატი.



სიტყვა – მიზანში



როგორც – არასდროს, ერთსულ!!! და... ერთად!!!

რამდენი ზეობს, სიცრუის აფრთხი?!.. რაიც – ტკივილად და ცეცხლად გვეგზნოს... საუკუნეა – მზაკერული, მძაფრი, საუკუნეა ცბიერი, – ეგზომ...

ვერაგი ქართულ მზესულზე ქუფრობს, გაბეგრდა ყოფნა, ურთიერთ მგლური... და ... სავალალო ის არის, უფრო, რომ ... ქრება: რწმენა, სულიც და ... გულიც...

შემოგვეთესლა ოდით, რამდენი?!.. ჩვენს ვარდის ბაღში ზოგმა – ინარა... შინ გახდა – სისხლის, ცრემლის დამდენი, ვხედავთ ქართველობს – ვინ... და... ვინ – არა?!..

ტკივილი ჩვენი, რომ აღწევს ცამდე, მოყვრისგან დაჭრილ იარებს ვიხვევთ, ვიცოდეთ: ეს... და... ეს უნდა გვწამდეს – შიგნიდან ტყდება, – უფროსე, ციხე...

წინაპართ სახელს, – მოსულს – არაკად, ბღაღავენ რცა რისხვით ვივსებით... თვით, სიცოცხლესაც დადებს ზვარაკად, აქვს, ახლა, ვისაც – წვეთიც – ღირსების!..

დევს ჯოჯოხეთზე – ხმლისპირის ბონდი, ფარული მიზნით, ღიმილის მჩენი... დღეს მტერი – კოცნით... და... ფულით მოდის,

უნდა, რომ... გაქრეს სინსილა ჩვენი... მოგვნიბლონ უნდათ, ღამაზი ბოდვით, მილიარდებით, ხან კი – გროშებით... მოგდივართ ჯვარცმით, მოგდივართ, ოდით; მზით, სიყვარულით, რწმენის დროშებით!..

დაგვიდასტურებს – სიონიც, სხალთაც, უფლის სიკეთის ნებას მივინებდით... ქართული სულით – მსახურად სხვათა, ჩვენ ვერ ვიქნებით: ყმები!!!.. მონები!!!..

ფარავენ ნიღბით – მიზანს და... სახეს, დემოკრატია – უკუღმა ბრუნდა?!.. ათასი ფანდით გვიგებენ მახეს... მაგრამ... ჩვენ, მაინც, გადავრჩეთ უნდა!!!..

დრომ მრავალ, მრავალ მზედღეს დაგვასწროს, არ-რით, არ გავხდეთ საჯიჯგანი მტერთა... როგორც – არასდროს, როგორც – არასდროს, როგორც – არასდროს: ერთსულ!!! და... ერთად!!!..

P.S. უფლის უმტკიცეს, შევიკრათ გუნდად, და... გაქრობისგან, გადავრჩეთ უნდა!.. მზით, სიყვარულით – გადავრჩეთ უნდა!!!.. გადავრჩეთ უნდა!.. გადავრჩეთ უნდა!!!..

ზარნა რაინა
12-V-2025 წ.
თელავი

საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეროვნული სამოსი და სამკაულები საზღვარგარეთ გამოიფინება

საზღვარგარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გაიმართლეს ქართული კულტურის დღეებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეროვნული სამოსი და სამკაულები გამოიფინება.

ქართული სამოსისა და სამკაულის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის წარმოჩენის მიზნით, სადღესასწაულო ღონისძიებებზე მისულ სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ, დაათვალიერონ ქალის ქართულ-კახური, ხევსურული, სვანური და აჭარული სამოსის, მამაკაცის თავადური ჩოხის, ხევსურული ჩოხის, მეგრულ-აფხაზური ჩოხის, აჭარული სამოსის ნიმუშები, ასევე გაეცნონ სხვადასხვა კუთხის ქართულ ტრადიციულ სამკაულს. გამოიფინება წარმოდგენილი იქნება საყურეები, სამაჯურები, ყელსაბამები, გულსაბ-

ნევეები, აფხაზური დიადემა, არქაული ხანის გულსაბნევის მიხედვით შექმნილი ამზინდა და სხვა.

საქართველოს გარშემო საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე პროცესებისა და დიდი გამოწვევების ფონზე ქართველები ყოველთვის დიდი ვარაუდუნებისთვის ემზადებოდნენ, თუმცა თვითმყოფადობას არ კარგავდნენ და უცხოური მო-



დის აგრესიული ექსპანსიის პირობებშიც ახერხებდნენ ეროვნული სამოსის შენარჩუნებას.

„ქართული კლასიკური მუსიკის საღამოების“ მეორე კონცერტი



23 მაისს საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში კრწანთის „ქართული კლასიკური მუსიკის საღამოები“ რიგით მეორე კონცერტი გაიმართა. ეროვნული ბიბლიოთეკის ინ-

ფორმაციით, მონაწილეობდნენ: თამარ ლიჩელი, დავით ალადაშვილი, ლიბა რამიშვილი, თეიმურაზ გუგუშვილი, ასევე – სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“.

წლის მუსიკალური ინფლუნსარიის პრიზი ნუსა გუზალაძეს

ნუსა გუზალაძეს WIBA Awards-ის დაპილოტაჟის ფარგლებში წლის მუსიკალური ინფლუნსარიის პრიზი გადასცეს. ამის შესახებ ნუსა სოციალურ ქსელში წერს და კადრებს ვიზიარებს. ღონისძიება საფრანგეთში, კანში შედგა. „ეს ნამდვილად დიდი პატივია, მადლიერი ვარ,“ – ამბობს ნუსა.



ვის გადაეცა კანის კინოფესტივალის მთავარი ჯილდო?

კანის 78-ე კინოფესტივალის ოქროს პალმის რტო ირანელი რეჟისორის ზაფარ პანაჰის ფილმს „ზგარლო შამიხივითობა“ მიენიჭა. გრან-პრი დანიელი რეჟისორის იოაკიმ ტრიერის სურათს „სენტინელური ღირებულება“ ერგო. პრიზი საუკეთესო რეჟისორისთვის ბრაზილიელ კლემენტ ნედონსა დილიოს

გადაეცა ფილმისთვის „საიდუმლო აგენტი“. ჯილდო საუკეთესო სცენარისთვის უან-პიერ დარდენსა და ლიუკ დარდენს მიენიჭათ, ფრანგულ-მელგიური ფილმისთვის „ახალგაზრდა დედები“.

საუკეთესო მსახიობ კაცად ბრაზილიელი ვაგნერ მოურა აღიარეს („საიდუმლო აგენტი“), საუკეთესო ქალი მსახიობი კი ნადია მელიტი გახდა („უმცროსი და“). უიურის პრიზი ფრანგი რეჟისორის ოლივერ ლამეს ნამუშევარს „სირატი“ და გერმანელი მამა პილინსკის „დამების ხმას“ გადაეცა.

საქართველო

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი **სვანტაჰა ქობულია** (599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე **მამუკა ვაშაძე** (597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი: **ალექო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, ვია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი **ნუსუდან ქობულია** (577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი: **კახა ქორიძე.**

სტილისტი-კორექტორები: **ნაირა კვეცილა, მია იორამაშვილი.**

ოპერატორი **შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი **გიორგი ნადარეიშვილი.**

მისამართი: თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე: **sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელშეწყობილია თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტობრივ სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აკავებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგზავნილ, ან უსხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტობრივ, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა „**კოლორი**“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორი
კავშირი
uac(უაკ)070.4(479.22)
C-323
2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგვისიანი თანხა
ჩარიცხვით ანგარიშზე:
GE90BG000000538329790

მოქალაქე
ნომერი
გამოვა
ხუთშაბათს,
29 მაისს